

**ოქმი № 2**

**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის სხდომის**

2019 წელი, 22 იანვარი

ქ.ოზურგეთი

12.00- საათი

**თავმჯდომარეობდა:** გ.კილაძე - მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე  
**ესწრებოდნენ:** კომისიის წევრები: ნ.ორაგველიძე, ხ.ცერცვაძე, ჯ.თავართქილაძე, ბ.თოიძე, თ.ტულუში, დ.ჭაკნელიძე, ვლ.ჩავლეშვილი, ლ.ნინიძე, ვ.ჩხაიძე, ვლ.დლონტი, თ.ბურჭულაძე, ლ.მგელაძე.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

**დღის წესრიგი**

1.ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავ-მომრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ.

**მომხს:გ.კილაძე**

**თანამომხს:მ.გორგოშიძე**

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ.

**მომხს:გ.კილაძე**

**თანამომხს:მ.გორგოშიძე**

3.,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ -ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დადგენილების მისაღებად საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

**მომხს:გ.კილაძე**

კომისიის წევრებმა მოისმინეს და იმსჯელეს ოზურგეთის

მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილ მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტზე „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავ-მოძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ და მიზანშეწონილად მიიჩნის მისი საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე განსახილველად წარდგენა.

კომისიის წევრებმა განიხილეს განკარგულების პროექტი „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ შესაძლებლად მიიჩნის ამ საკითხის საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე განსახილველად წარდგენა.

კომისიის წევრებმა, ასევე, განიხილეს საკრებულოს დადგენილების პროექტი „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ და მიზანშეწონილად მიიჩნის მისი საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების მიზნით წარდგენა.

#### **გადაწყვიტეს:**

დამტკიცდეს კომისიის დასკვნა(თან ერთვის) და მიზანშეწონილად იქნას მიჩნეული: კომისიის სხდომის დღის წესრიგში გათვალისწინებული - მუნიციპალიტეტის მერიისაგან წარმოდგენილი სამივე ადმინისტრაციულ-სამათლებრივი აქტის პროექტის მუნიციპალიტეტის რიგგარეშე სხდომაზე განსახილველად წარდგენა.

გოჩა კილაძე

კომისიის თავმჯდომარე

აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისია

